სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

13 ივნისი, 2025 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება № 06-01/58

ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მემბრანული ტექნოლოგიების განყოფილების უფროსის რაულ გოცირიძის შოთა რუსთაველის სახელობის მედლით დაჯილდოების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ელი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის მე–4 პუნქტის, „შოთა რუსთაველის სახელობის მედლის“ დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 27 ივლისის №122 დადგენილების, აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის დირექტორის სამსახურებრივი ბარათის (MES 5 25 0000269312, 12.03.2025) და რექტორის წარდგინების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მემბრანული ტექნოლოგიების განყოფილების უფროსი (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი) **რაულ გოცირიძე,** სამეცნიერო საქმიანობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის და 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით დაჯილდოვდეს უნივერსიტეტის საპატიო ჯილდოთი – გადაეცეს შოთა რუსთაველის სახელობის მედალი.
2. ბსუ–ს რექტორის აპარატს დაევალოს წინამდებარე დადგენილების აღსრულების უზრუნველყოფა.
3. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. დადგენილება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (მ. ხალვაში), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ფაკულტეტს, რაულ გოცირიძეს, ბსუ-ს რექტორის აპარატს, ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).
5. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი **ტიტე არუშიძე**